თიბისი ბანკი
TBC BANK

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

# მესამე კვარტალი
# Third Quarter 2010

# თიბისი ბანკის 5 ვარსკვლავიანი სესხები

5 ოქტომბრიდან თიბისი ბანკმა 5 ვარსკვლავიანი სესხები გაცემა დაიწყო - სესხის ვარსკვლავები ნიშნავს იმ 5 ძირითად უპირატესობას, რომელიც თიბისი ბანკის სესხებს ქართულ ბაზარზე გამოარჩევს. კერძოდ:

★ 1 თვიანი საშეღავათო პერიოდი

პირველად საქართველოში, თიბისი ბანკის მსესხებლებს ეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში, წელიწადში ერთხელ, არ გადაიხადონ სესხის ყოველთვიური გადასახადი და ამის მიუხედავად, მათ არ გაუფუჭდებათ საკრედიტო ისტორია.

ჯამურად, მსესხებელს შეეძლება გამოტოვოს იმდენი თვე, რამდენწლიანი სესხიც აქვს აღებული. მაგ., თუ სესხის ვადაა 5 წელი, საშეღავათო პერიოდი იქნება ჯამში 5 თვე, ოღონდ, ყოველ 1 წელიწადში - 1 თვის გამოტოვების უფლებით.

ამ პრივილეგიით სარგებლობის თაობაზე, მსესხებელმა საჭიროა წინასწარ შეატყობინოს საკრედიტო ექსპერტს. აღნიშნული შეღავათით სარგებლობა მსესხებელს შეუძლია დაიწყოს სესხის აღებიდან 6 თვის შემდეგ.

★★ სესხები 1 დღეში!

თიბისი ბანკის სამომხმარებლო და ავტო სესხების გაცემის დრო რეკორდულად შემცირდა და მათი მიღება შესაძლებელია, საჭირო დოკუმენტაციის წარდგენიდან, სულ რაღაც 1 დღეში.

★★★ სმარტ ქულები საჩუქრად!

თიბისი ბანკის მსესხებლებს, სესხის აღებისთანავე, საჩუქრად დაერიცხებათ დამატებითი 500 სმარტ ქულა, რომელთა გადაცვლა შესაძლებელია პარტნიორ ობიექტებში, სასურველ საჩუქრებზე.

★★★★ საუკეთესო მომსახურება

ულტრათანამედროვე ფილიალების ქსელი, რიგების მართვის თანამედროვე სისტემა, მომსახურების ყველაზე მაღალი ხარისხი და კომფორტული გარემო - თიბისი ბანკის სესხების დამატებითი უპირატესობაა!

★★★★★ თქვენზე მორგებული პროცენტი

გამარტივებული პროცედურა და საუკეთესო საპროცენტო განაკვეთი:

- იპოთეკური სესხები - 14,5%-დან
- სამომხმარებლო სესხები - 18%-დან
- ავტო სესხები - 0%-დან

# 5-STAR LOANS FROM TBC BANK



TBC Bank launched 5-star loans from October 5. The stars indicate those 5 major advantages that distinguish TBC Bank's loans from other credits on Georgian market.

★ One-month grace period

For the first time in Georgia TBC Bank's borrowers are given a unique opportunity to defer monthly loan payment once a year in case the need arises without harming their credit history.

In total the number of monthly payments the borrower can defer equals to the number of years of the loan term. E.g if the loan term is 5 years, total grace period will be 5 months, however, borrower can defer one payment per year.

The borrower should notify the credit expert in advance to use the grace period. The borrower can benefit from deferral after 6 months from loan disbursement.

★★ Loans in one day!

The time needed for loan disbursement has extremely reduced in TBC Bank and now loans are available in just one day after presenting necessary document.

★★★ Smart points as a gift

Upon receiving the loan TBC Bank's borrowers will be granted 500 smart points. These points can be exchanged for the desired gifts at partner shops and service providers.

★★★★ Best service

Network of ultramodern branches, modern queue management system, the highest quality service and comfortable environment - those are the additional benefits of TBC Bank's loans!

★★★★★ Interest rate tailored for you

Simplified procedure and best interest rate:

- Mortgage loans: from 14.5%
- Consumer loans: from 18%
- Auto loans: from 0%



# ᲛᲝᲒᲔᲑᲐ-ᲖᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲣᲬᲧᲘᲡᲘ 2010 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲓᲐᲜ 30 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲐᲛᲓᲔ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ
## INCOME STATEMENT FOR THE PERIOD OF JANUARY 1 - SEPTEMBER 30, 2010

| ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲐᲗᲐᲡ ᲚᲐᲠᲔᲑᲨᲘ | | Expressed in thousand GEL |
|---|---|---|
| საპროცენტო შემოსავალი | 174,750 | Interest income |
| საპროცენტო ხარჯი | 79,309 | Interest expense |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი | ***95,441*** | Net interest income |
| აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვი | 25,594 | Provisions for asset losses |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი დარეზერვების შემდეგ | ***69,847*** | Net interest income after provisions for loan losses |
| წმინდა საკომისიო შემოსავალი | *17,847* | Net fee and commission income |
| სხვა არასაპროცენტო შემოსავალი | *21,718* | Other non-interest income |
| არასაპროცენტო ხარჯები | *73,196* | Non-interest expense |
| მოგება დაბეგვრამდე | ***36,217*** | Profit before taxes |
| მოგების გადასახადი | 6,519 | Tax expense |
| წმინდა მოგება | ***29,698*** | Net profit |

ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ
TOTAL EQUITY AND TOTAL ASSETS
გამოსახული ათას ლარებში
Expressed in thousand GEL




ᲐᲜᲐᲑᲠᲔᲑᲘ
TOTAL DEPOSITS
გამოსახული ათას ლარებში
Expressed in thousand GEL



## საუკეთესო პირობები სტუდენტურ სესხებზე

III კვარტალში თიბისი ბანკი აქტიურად გასცემდა სტუდენტურ სესხებს საუკეთესო პირობებით:

**სესხები 10 წუთში!**
თიბისი ბანკში სტუდენტური სესხების აღება რეკორდულად მცირე დროში, მხოლოდ 10 წუთშია შესაძლებელი.

**მხოლოდ პირადობის მოწმობა!**
სესხის ასაღებად საჭიროა მხოლოდ მსესხებლის პირადობის მოწმობა და სხვა არაფერი!

**სესხის პირობები:**
თიბისი ბანკის სტუდენტური სესხის ვადა 1 წელია. სესხის თანხა 200 ლარიდან 3000 ლარამდეა. 1 წლიანი სესხის შემთხვევაში ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 1.71%-ს.

**სესხი საშეღავათო პერიოდით!**
ასეთი სესხები განკუთვნილია თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის, კავკასიის ბიზნეს სკოლისა და ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის.

შეღავათიანი სესხების ვადა 9,5 წელია. აქედან, მაქსიმუმ 4 წელი (სწავლისთვის) და 6 თვე (სამსახურის მოსაძებნად) არის საშეღავათო პერიოდი, როდესაც სტუდენტი ფარავს მხოლოდ სესხის პროცენტს, ხოლო ძირის დაფარვა იწყება მხოლოდდამხოლოდ საშეღავათო პერიოდის გასვლის შემდეგ.

## თიბისი ბანკი საავადმყოფოების მშენებლობას 20 მილიონი აშშ დოლარით დააფინანსებს

თიბისი ბანკმა ჯანდაცვის სფეროს დასაფინანსებლად 20 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სასესხო რესურსი გამოყო, რომლის 50% აშშ-ს მთავრობის გარანტიით გაიცემა.

საგარანტიო ხელშეკრულება გაფორმდა საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (USAID), როგორც აშშ-ს მთავრობის წარმომადგენელ მხარესთან.

თიბისი ბანკის მიერ გამოყოფილი 20 მილიონი აშშ დოლარი მოხმარდება საქართველოში საავადმყოფოების მშენებლობის, რემონტისა და აღჭურვის დაფინანსებას. პროგრამის მიზანია ჯანდაცვის სფეროს განვითარებისა და საქართველოს მოსახლეობისთვის თანამედროვე, ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების გაწევის ხელშეწყობა.

## BEST TERMS ON STUDENT LOANS



In quarter III TBC Bank was actively disbursing student loans and offering best terms to young people.

**Loans in 10 minutes!**
Student loans are available in TBC Bank in a record amount of time - in just ten minutes.

**Only Identification Card**
To receive loan, borrower only needs an ID card and nothing else!

**Loan terms and conditions:**
TBC Bank's student loan is a one-year credit. The amount of loan varies between 200-3000 Laris. Monthly interest rate for one-year loan is 1.71%.

**Grace period**
Loans with grace periods are intended for business students of Tbilisi Free University, Caucasian Business School and Georgian American University.

Term of loans with grace period is 9.5 years. From these 9 years, maximum 4 years (for studies) and 6 months (for job search) are grace period. During grace period student pays only interest. Payment of the base amount starts after grace period.

## TBC BANK WILL FINANCE THE CONSTRUCTION OF HOSPITALS WITH 20 MILLION USD

TBC Bank allocated 20 million USD credit resources to finance health sector. 50% of this resources will be disbursed under the guarantee of the US government.

Agreement on Guarantee was formed with United States Agency for International Development (USAID) that acted as a representative of US government.

20 million USD will be spent on construction, renovation and equipment of hospitals in Georgia. The aim of the project is to support development of healthcare sector and modern, high-quality medical service for Georgian population.

# თიბისი გალერეა – ბათუმის ერთ-ერთი კულტურული ცენტრი!

ზაფხულის ცხელ სეზონზე თიბისი ბანკის კულტურულმა აქტივობებმა ზღვისპირეთში გადაინაცვლა და ბათუმში, თიბისი ბანკის ცენტრალურ ფილიალში განთავსებულ "თიბისი გალერეაში" საინტერესო ღონისძიებები გაიმართა:

## ფოტო გამოფენა "მე ანია"

25 ივნისს, ბათუმის თიბისი გალერეაში გაიხსნა "ჯეოსელის" მიერ ორგანიზებული ფოტოგამოფენა "მე ანია". გამოფენაზე წარმოდგენილი იყო შეზღუდული უნარების მქონე 22 წლის ფოტოგრაფის - ანია გოგუაძის ფოტოები.

## წიგნის "ქართული ხალხური ცეკვა" პრეზენტაცია

10 ივლისს, გაიმართა ავთანდილ თათარაძის წიგნის "ქართული ხალხური ცეკვა" პრეზენტაცია. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი (ხელმძღვანელი გიორგი უშიკიშვილი) და აჭარის კულტურის სამინისტრო.

## 14 წლის ფოტოგრაფის დებიუტი "თიბისი გალერეაში"

18 აგვისტოს, თიბისი გალერეამ უმასპინძლა 14 წლის აივი მურვანიძის პირველ პერსონალურ ფოტო გამოფენას "ბავშვის თვალით დანახული ბათუმი".

## იაპონური ჩაის საღამო

20 აგვისტოს, თიბისი გალერეაში მოსული სტუმრები ეზიარნენ ტრადიციული იაპონური ჩაის ცერემონიას და იაპონური თეატრის "ნო" წარმოდგენაც იხილეს. ამ ღონისძიებით აჭარაში გაიხსნა იაპონური კულტურის დღეები.

## "ფარდის მიღმა"

ამ სახელწოდების ფოტოგამოფენა ბათუმის თიბისი გალერეაში 23 აგვისტოს გაიმართა. მისი ავტორია ქართველი ფოტოხელოვანი, გია გოგატიშვილი.

## ბათუმელი მხატვრის გამოფენა თიბისი გალერეაში

6 სექტემბერს გაიხსნა ადგილობრივი მხატვრის, ბექა ბოლქვაძის პერსონალური გამოფენა.





# TBC GALLERY - ONE OF THE CULTURAL CENTERS OF BATUMI!

During hot summer TBC Bank's cultural activities shifted to seaside and TBC Gallery located in Batumi, in the central branch of TBC Bank, and was full of many interesting events:

## Photo exhibition: Me- Anya

On June 25 TBC Bank opened its doors to the photo exhibition Me-Anya, which was organized by Geocell. The exhibition presented the works of impaired photographer Ana Goguadze, 22 years old.

## Presentation of the book "Georgian folk dance"

On July 10, presentation of Book "Georgian Folk Dance"by Avtandil Tataradze was held. The event was organized by National Centre of Folklore (director Giorgi Ushikishvili) and Ministry of Culture of Adjara.

## The debut of 14-year old photographer in TBC Gallery

On August 18, TBC gallery hosted first personal exhibition of a 14-year old Aivi Murvanidze. Exhibition was titled "Batumi with the eyes of a child".





## Japanese tea evening

On August 20, the guests of TBC Gallery enjoyed the traditional Japanese tea ceremony and saw the performance of Japanese theater "No". This event opened the Japanese cultural days in Adjara.

## Behind the curtains

The exhibition under this name was help in TBC Gallery on August 23. The author of the exhibition is Georgian photographer Gia Gogatishvili.

## The exhibition of Batumian Artist

On September 6, a personal exhibition of local artist, Beka Bolkvadze was open in TBC Gallery.

## ბალანსი 2010 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით
## BALANCE SHEET AS OF SEPTEMBER 30, 2010

გამოსახული ათას ლარებში — Expressed in thousand GEL

| | | |
|---|---|---|
| **აქტივები** | | **ASSETS** |
| ნაღდი ფული და სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 161,900 | Cash and due from National Bank of Georgia |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | 218,317 | Due from other banks |
| სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები | 136,423 | Government treasury bills |
| წმინდა საკრედიტო პორტფელი | 1,237,091 | Net loans portfolio |
| ინვესტიციები | 36,203 | Investment securities |
| ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები | 154,590 | Tangible fixed assets and intangible assets |
| სხვა აქტივები | 98,074 | Other assets |
| **სულ აქტივები** | ***2,042,598*** | TOTAL ASSETS |
| **ვალდებულებები** | | **LIABILITIES** |
| ვალდებულებები ბანკების მიმართ | 385,325 | Due to other banks |
| ვალდებულებები კლიენტების მიმართ | 1,251,568 | Due to customers |
| სხვა ვალდებულებები | 62,943 | Other liabilities |
| **სულ ვალდებულებები** | **1,699,836** | TOTAL LIABILITIES |
| **კაპიტალი** | | **SHAREHOLDER'S EQUITY** |
| საწესდებო კაპიტალი | 15,000 | Share capital |
| აქციების ნომინალზედა ღირებულება | 201,723 | Share premium |
| გადაფასების რეზერვი | 30,506 | Revaluation reserves |
| გაუნაწილებელი მოგება | 95,533 | Retained earnings |
| **სულ კაპიტალი** | **342,762** | TOTAL SHAREHOLDER'S EQUITY |
| **სულ ვალდებულებები და კაპიტალი** | ***2,042,598*** | TOTAL LIABILITIES AND SHAREHOLDER'S EQUITY |

### თიბისი ბანკის წილი 11 უმსხვილეს ბანკს შორის ფიზიკური პირების სესხების მიხედვით
### SHARE IN INDIVIDUAL LOANS AMONG 11 BANKS



## თიბისი პლატინუმი – სამი საბანკო პროდუქტი ერთ ბარათში

თიბისი ბანკმა თავისი VIP კლიენტებისთვის შექმნა ახალი, ექსკლუზიური დიზაინის, ჩიპური ვიზა ბარათი "**თიბისი პლატინუმი**", რომელიც აერთიანებს ერთდროულად 3 სხვადასხვა საბანკო პროდუქტს: მაღალი კლასის ვიზა საკრედიტო ბარათს, შემნახველ ანაბარს და მიმდინარე ანგარიშს.

თიბისი პლატინუმი სტანდარტული საკრედიტო ბარათისაგან გამოირჩევა უნიკალური თვისებით - ბარათზე არსებულ დადებით ნაშთს ყოველთვიურად ერიცხება მაღალი საპროცენტო სარგებელი: ლარში - 6%, დოლარში - 5%, ევროში - 4%.

ამასთან, ბარათის მფლობელი, მისი მიღებისთანავე, ხდება ვიზა პლატინუმ კლუბის წევრი, რაც მას შესაძლებლობას აძლევს, ისარგებლოს მრავალი ფასდაკლებითა და უპირატესობით მთელი მსოფლიოს მასშტაბით, შემდეგ სფეროებში: სასტუმროები და კურორტები, ავია კომპანიები, მოგზაურობა, გამაჯანსაღებელი სპა-სალონები და მრავალი სხვა.

## TBC PLATINUM - THREE BANKING PRODUCTS IN ONE CARD



TBC Bank created an exclusively designed Visa plastic card equipped with microchip for its VIP clients. TBC Platinum includes three different banking products: high class Visa plastic card, savings account and current account.

Its unique features distinguish TBC Platinum from standard cards: every month interest rate is accrued on the positive balance of the card: annual 6% in GEL, annual 5% in USD, and annual 4% in EUR.

Additionally, upon the purchase of the card, cardholder becomes a member of Visa Platinum Club. The membership enables the client to enjoy many discounts and privileges around the world in the following areas: hotels and resorts, travel, recreational spa centers and many more.

## FITCHRATINGS-მა თიბისი ბანკის B+ რეიტინგი დაადასტურა

საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტომ FitchRatings ქართული ბანკების 2010 წლის რეიტინგები გამოაქვეყნა. სააგენტომ დაადასტურა თიბისი ბანკისადმი 2009 წელს მინიჭებული რეიტინგი და ბანკს კვლავ მიანიჭა "B+" კატეგორია, პროგნოზი - სტაბილური. ამასთან, Fitch-მა ხაზი გაუსვა და პოზიტიურად შეაფასა თიბისი ბანკის მაღალი კაპიტალიზაცია, ლიკვიდურობის დონე და მომგებიანობა.

აღსანიშნავია, რომ 2009 წელს, თიბისი იყო ერთადერთი ქართული ბანკი რომელსაც Fitch-მა B დან B+-მდე აუმაღლა რეიტინგი, რაც უპრეცედენტო და განსაკუთრებით პოზიტიური მოვლენა იყო, რადგან 2008-2009 წლებში საქართველოში განვითარებულმა რთულმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა პროცესებმა, უარყოფითი გავლენა იქონია ქვეყნის ეკონომიკაზე, მათ შორის, საბანკო სექტორზეც.

## FITCHRATINGS CONFIRMED B+ RATING FOR TBC BANK

International rating agency FitchRatings published ratings of Georgian banks for year 2010. The agency confirmed the rating TBC Bank was given in 2009 and once again gave TBC Bank B+ rating, the projection - positive. Additionally, FitchRatings emphasized and positively evaluated TBC Banks high capitalization, level of liquidity, and profitability.

It should be noted that in 2009 TBC Bank was the only bank to which FitchRatings raised rating from B to B+. This was an unprecedented and especially positive event as the economic and political processes of 2008-2009 had negative impact on the economy of the country, including banking sector.

FitchRatings

თიბისი ბანკი
TBC BANK

თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 7
7 Marjanishvili St., Tbilisi, Georgia
E-mail: info@tbcbank.com.ge
www.tbcbank.ge